

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ერთწლიანი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო, საკრებულოს წევრებო, მედიის წარმომადგენლებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას.

მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ საკრებულოს თავმჯდომარის რანგში ერთი წლის გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში. მინდა მადლობა გადავუხადო ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და შემდგომ არჩევნებში გამოცხადებული ნდობისთვის, ასევე საკრებულოს შემადგენლობას საანგარიშო პერიოდში კონსტრუქციული და ნაყოფიერი შრომისათვის.

2017 წლის 21 ნოემბერს მეოთხე მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომაზე ცნობილი იქნა საკრებულოს სრული შემადგენლობის -28 წევრის უფლებამოსილება, ხოლო უფლებამოსილების ცნობისა და თავმჯდომარის არჩევის შემდეგ არჩეული იქნა თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარეები და ჩამოყალიბდა ფრაქციები, შემდგომში განისაზღვრა ფრაქციათა კვოტები და დამტკიცდა კომისიების პერსონალური შემადგენლობები. მიუხედავად შეზღუდულ ვადებისა ახლად არჩეულმა საკრებულომ შეძლო კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში განეხილა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, გაეკეთებინა შენიშვნები და შემდგომში პროგრამებთან ერთად საკრებულოს სხდომაზე დაემტკიცებინა.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 23 სხდომა, მათ შორის 15 მორიგი, ხოლო 8 რიგგარეშე სხდომები, სადაც განხილული იქნა 171 (მორიგ სხდომაზე 112, რიგგარეშე სხდომებზე 59) საკითხი, ამავე პერიოდში ჩატარდა ბიუროს 30 სხდომა (26 მორიგი, 4 რიგგარეშე) სადაც განხილული იქნა 120 საკითხი.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკრებულოს მიერ მიღებული იქნა 112 სამართლებრივი აქტი მათ შორის 48 ნორმატიული სამართლებრივი აქტი - დადგენილება, ხოლო 64 ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი - განკარგულება.

(აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მიღებული გადაწყვეტილებების ძირითად ნაწილზე აზრების თანხვედრა იყო როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის პოზიციების).

საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამოცემულია 161 ბრძანება: ძირითად საქმიანობაზე 53, ბრძანება მივლინება-შვებულებაზე 102, საკადრო ბრძანება 6.

განვილი პერიოდში საკრებულოს საქმის წარმოებაში დოკუმენტ-ბრუნვამ შეადგინა 488 ერთეული. მათ შორის სხვადასხვა უწყებებიდან-ადგილობრივი დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და მერიიდან შემოსულია 412 კორესპონდენცია. საკრებულოში შემოსული 76 განცხადებიდან 71 არის ინდივიდუალური, ხოლო 5 კოლექტიური, საიდანაც 57 განცხადებაზე პასუხი გაცემულია ინდივიდუალურად, ხოლო 14 გადაგზავნილია ქვემდებარეობით.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოდან სულ გაგზავნილია 519 კორესპონდენცია, აქედან სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში-462, განცხადებების პასუხები მოქალაქეებზე-57, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე შემოსული 21 მომართვიდან ყველაზე გაცემულია მოთხოვნილი ინფორმაცია.

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში მოქმედი ხუთივე კომისია დაკომპლექტებულია საკრებულოს წევრებით ისე, რომ ყველა ფრაქციის თითო წევრი მონაწილეობს კომისიის მუშაობაში. კომისიები თავიანთ მუშაობას წარმართავენ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, „ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-სა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, შესაბამისად მტკიცდება კვარტალური სამუშაო გეგმები და გეგმების შესაბამისად ხდება როგორც გეგმიური ასევე სიტუაციური საკითხების განხილვა.

საკრებულოს კომისიები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია (თავმჯდომარე იური აბულაძე) საანგარიშო პერიოდში ჩაატარა კომისიის 16 სხდომა, განხილული აქვს 22 საკითხი, მათ შორის 3 ერთობლივი და რიგგარეშე სხდომებიც ბიუჯეტის მიღებასთან დაკავშირებით. სხდომებზე დგებოდა წინადადებები და რეკომენდაციები შემდგომი მიზნობრივი მუშაობისთვის (აღნიშნული კომისიის ეფექტური მუშაობის მანიშნებელია კომისიის თავმჯდომარის კოორდინირებული მუშაობა მერიის შესაბამის სამსახურებთან, რაც საბოლოოდ იძლევა დადებით მაჩვენებელს როგორც ბიუჯეტის დაგეგმარების, ისე შესრულების პარამეტრებში ასევე ხაზი მინდა გაუსვა მის აქტიურ ჩართულობას საკრებულოს, როგორც მაჟორიტარი წევრის სამუშაოს, მოსახლეობის წარმომადგენლობით საქმიანობაში, რაც დეტალურად მის ანგარიშში იქნება ასახული.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას (თავმჯდომარე რამაზ გელაძე) განვლილ პერიოდში ჩატარებული აქვს კომისიის 11 სხდომა და განხილული აქვს 18 საკითხი.

კომისია მისი საქმიანობის შესაბამისობიდან გამომდინარე განიხილავს საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებს, განიხილავს მის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. (ასევე აღსანიშნავია მისი, როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრის დამოკიდებულება საკუთარი ამომრჩევლისა და მაჟორიტარული ოლქის ინტერესების მიმართ, ის როგორც სხვა მაჟორიტარი წევრები მუდმივ რეჟიმში გამოხატავენ როგორც თანამდებობის ისე წარმომადგენლობით ვალდებულებების კეთილ სინდისიერად შესრულებას.

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას (თავმჯდომარე ნოდარ მიქელაძე) ჩატარებული აქვს კომისიის 17 სხდომა და განხილული აქვს 24 საკითხი. ბატონი ნოდარის გამოცდილება თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში მუშაობისა მნიშვნელოვანია აღნიშნული კომისიის ფუნქციურად გაძლიერების შესაძლებლობაში, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია შეისწავლოს აქამდე არსებული პრაქტიკა ქონებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების მიმართულებით და მოახდინოს ახალი ელემენტების შემოტანა როგორც ბუნებრივი რესურსებით მოსახლეობის სარგებლობის ნაწილში ისე მუნიციპალური ქონების გაზრდისა და მისი გონივრულად გამოყენების შესაძლებლობებში.

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას (თავმჯდომარე ზაურ გობაძე) ჩატარებული აქვს კომისიის 18 სხდომა, განხილული აქვს 28 საკითხი. (ბატონი ზაური გახლავთ გამოცდილი მაჟორიტარი საკრებულოს წევრი, და მისი გამოცდილება აისახება, როგორც კომისიის ისე მაჟორიტარულ საქმიანობაზე, აღნიშნული კომისია თავისი ფუნქციური შინაარსით არის ძალიან მნიშვნელოვანი. გამომდინარე იქიდან რომ მუნიციპალიტეტში დაგეგმილია და ხორციელდება უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი და ყველა პროექტი საჭიროებს სწორი მიზნობრიობის და პრიორიტეტულობის განსაზღვრას თავიდანვე,

შესაბამისად, კომისიამ მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად შეიმუშავა მარტივი და ეფექტური მიდგომები ზოგადად მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის პოლიტიკაში, რაც ასევე გამოიხატება ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერებაში.

სოციალურ საკითხთა კომისიას (თავმჯდომარე ნარგიზ დეკანაძე) ჩატარებული აქვს კომისიის 23 სხდომა, განხილული აქვს 39 საკითხი. ბევრი საკითხი, რომელიც აღნიშნულ კომისიაზე იქნა განხილული როგორც სოციალური კუთხით, ისე განათლებისა და სპორტულ მიმართულებით გატანილი იქნა საკრებულოს სხდომაზე და განხორციელდა. ის როგორც გამოცდილი საკრებულოს წევრი მუდმივად ჩართულია აღნიშნული სფეროების წარმატებასა და გაუმჯობესების მიზნით. მისი დამსახურებაა გენდერული მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯები.

სოციალურ საკითხთა კომისია, ისევე როგორც სხვა დარგობრივი კომისია ზრუნავს სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მოგეხსენებათ, მოქმედებს მუნიციპალიტეტი მაღალმთიანი

სტატუსის შეღავათებით ამავე დროს მუნიციპალიტეტს აქვს ბევრი სოციალური პროგრამა და ყველა მათგანი ორიენტირებულია მოსახლეობის სოც. მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, შესაბამისად კომისია გეგმავს არსებული პროგრამებით მიღწეული შედეგების ანალიზს და საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას. ასევე აღნიშნული კომისია უზრუნველყოფს განათლებისა და სამედიცინო მიმართულებების კურირებას, რაც თავის მხრივ საჭიროებს მუდმივ ყურადღებას.

მოგეხსენებათ, რომ კომისიებისა და მერიის შესაბამისი სამსახურების კოორდინირებული მუშაობის მთავარი გარანტია საკრებულოში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ხშირ შემთხვევაში მოადგილის ხელმძღვანელობით ტარდება საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომები რაც თავისთავად უზრუნველყოფს საკრებულოს მუშაობის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ასევე ის უზრუნველყოფს საკრებულოს კომისიების საქმიანობის ზედამხედველობას რაც დადებითად აისახება საკრებულოს სამუშაო ანგარიშში.

საკრებულოს აპარატი

საკრებულოს აპარატი საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფდა საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების და საკრებულოს თანამდებობების პირების ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას და დახმარებას უწევდა საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში. მოსახლეობას სისტემატიურად აწვდიდა ინფორმაციას საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციულად უზრუნველყოფდა მოქალაქეთა ურთიერთობას საკრებულოსთან და საკრებულოს თანამდებობების პირებთან. საკრებულოს აპარატმა საანგარიშო პერიოდში სრულად უზრუნველყო საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ნორმატიულ ადმინისტრაციული და ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტების გამოცემის, პროაქტიულად გამოქვეყნების ტექნიკური პირობები. ასევე უზრუნველყო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, დამუშავებული და დაცულია საკრებულოში ჩატარებული ბიუროს, ფრაქციების, კომისიების სხდომების საოქმო ჩანაწერები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხდება აპარატის თანამშრომელთა სისტემატიური შეფასება რაც თავის მხრივ განაპირობებს აპარატის მუდმივი ეფექტიანობის შესაძლებლობას.

საკრებულოში ყოველდღიურად ხდება მოქალაქეთა მიღება. სულ მიღებულია 247-ზე მეტი მოქალაქე განვლილ პერიოდში მათ მოთხოვნებს და მათ მიერ დასმულ საკითხებს უკეთდება ანალიზი, ასევე ხდება მათი გათვალისწინება პრიორიტეტების შერჩევის დროს.

მოწესრიგდა ცალკეული სამართლებრივი აქტების პროექტების საკრებულოში შემოტანის პრაქტიკა, დაიხვეწა საკრებულოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის მექანიზმი. საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა არაერთი ახალი ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, აგრეთვე სამართლებრივი ტექნიკის გამართულობის მიზნით შეტანილი იქნა ცვლილებები მიღებულ ნორმატიულ და ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებში, კერძოდ:

ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების დებულებები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სამსახურის ზოგად სტანდარტებთან;

„დაბა ხულო ამორტიზებული და საცხოვრებლად უვარგისი სახლების გარეშე განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ივლისის N35 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით, რომლის ინიციატორიც იყო საკრებულო, მუნიციპალიტეტის მერს მიეცა ერთ ბენეფიციარზე (პირველი კატეგორიის შშმ პირი ან/და პირი, რომლის მძიმე სოციალური მდგომარეობა საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს) საკუთრებაში ბინის გადაცემის უფლება;

სამართლებრივი ტექნიკის გამართულობის მიზნით ცვლილებები შევიდა საკრებულოს რეგლამენტში და საბოლოოდ მივიღეთ გამართული და მარტივი სახელმძღვანელო, რომელიც საშუალებას იძლევა გამარტივებული ვადებითა და პროცედურით საკრებულოს სხდომის ჩატარებისას.

ასევე მიღებულ იქნა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ : საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამატებით რეგულაციები, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის განათლების სისტემის რეფორმას.

(„ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;

ხულოს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების და სასკოლო მზაობის პროგრამის მიწოდების მონიტორინგის, შეფასების და ანგარიშგების სისტემის დამტკიცების შესახებ;

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ;

ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისთვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების დამტკიცების შესახებ;

სკოლამდელი განათლების და სასკოლო მზაობის პროგრამის მომსახურების და დაწესებულების შიდა მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ;)

ასევე დამტკიცდა გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება და გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 -2019 წლების სამოქმედო გეგმა.

2017 წლის 28 დეკემბერს საკრებულომ დაამტკიცა 2018 წლის ბიუჯეტი და პრიორიტეტების დოკუმენტი. წლის განმავლობაში კორექტირების შემდეგ ბიუჯეტის საბოლოო მოცულობა განისაზღვრა 11 336 785 ლარის ოდენობით. არსებული რესურსი გადაანაწილდა ძირითად მიმართულებებზე, კერძოდ:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის მიმართულება დაფინანსდა 4 478 196 ლარით, განათლება (სკოლამდელი აღზრდა) დაფინანსდა 1 866 898 ლარით, კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები 1 696 429 ლარით, ხოლო ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 865 477 ლარით.

აღსანიშნავია საკრებულოს ჩართულობა მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების ხელშეწყობის პროცესში, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ საბიუჯეტო წლის დიდი პერიოდი გამოვიარეთ საარჩევნო შეზღუდვების პირობებში რაც თავის მხრივ ართულებს ზოგადად საქმიანობის მობილურად შესრულების შესაძლებლობას, ასევე გვქონდა მუნიციპალიტეტში გარდამავალი ნიუანსები, მიუხედავად ამისა შეიძლება ითქვას, საკრებულომ და მერიამ ერთობლივად შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა.

მინდა ხაზი გაუსვა საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან ანგარიშის ჩაბარების პრაქტიკას რაც სამართლებრივად სავალდებულო ხასიათისაა, ჩვენ დავამტკიცეთ ანგარიშის ფორმები რომელიც საკრებულოს წევრს აძლევს საშუალებას მისი ყოველდღიური აქტივობა ასახოს დოკუმენტის სახით და მისი საშუალებით გააკეთოს ანგარიში როგორც მოსახლეობასთან ისე საკრებულოსთან. ეს არის უმნიშვნელოვანესი პრეცედენტი რაც ძირეულად შეაფასებს საკრებულოს წევრის ფუნქციას და როლს თვითმმართველობის განვითარების თვალსაზრისით.

რაც შეეხება ფრაქციებს და ფრაქციების მუშაობას, აქ შემიძლია სიამაყით ავღნიშნო რომ, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ნამდვილად გამოირჩევა ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მრავალპარტიული და მრავალფრაქციული შემადგენლობით და ყველა ფრაქციას აქვს თავისი პოლიტიკური აქტივობის ძალიან დიდი რესურსი. განსაკუთრებით ხაზს უსვამ უმრავლესობაში შემავალი ფრაქციების ერთსულოვნებას, მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების მიმართ გააზრებულ და სწორ დამოკიდებულებას და მათ ჩართულობას თვითმმართველობის განხორციელებაში. აქვე აღვნიშნავ მათი ხელმძღვანელი პირების შემართებას მუნიციპალიტეტში არსებული პოლიტიკური ვითარებების სწორად წარმართვისათვის გამოვლენილ ძალისხმევაში და საკრებულოს უმრავლესობის სახელით მადლობას გადაგიხდით ყველა თქვენგანს.

ასევე ნიშანდობლივია, რომ ჩვენ ყველამ ერთად უმრავლესობამ და უმცირესობამ ჩვენი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად მოვახერხეთ გასული ერთი წლის განმავლობაში არ დაგვერღვია კოლეგიალობის და კონსტრუქციულობის პრინციპები და გვეჩვენებინა საზოგადოებისთვის მაღალი პოლიტიკური კულტურა, რაც ქვეყანაში არც თუ ისე ჩამოყალიბებული მცნებაა. ამისათვის ყველა იმსახურებს მადლობას.

აქვე აღვნიშნავ საკრებულოს უფრაქციო წევრების ჩართულობას საკრებულოს საქმიანობაში, მათ გულწრფელ დამოკიდებულებას მუნიციპალიტეტში არსებული სირთულეების მოგვარების საკითხებში. მათი გამოცდილება ნამდვილად წაადგება საკრებულოს საქმიანობას.

თვითმმართველობის ორგანიზაციული აგების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი გახლავთ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებების და ფუნქციების გამიჯვნა. საანგარიშო პერიოდში რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა საქართველოს პარლამენტის რეგიონალური პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მიერ ორგანიზებულ ფორუმებსა და შეხვედრებში, სადაც ძირითად საკითხად განიხილებოდა თვითმმართველობის ინსტიტუციური მოწყობის კიდევ უფრო დახვეწა და განვითარება. თვითმმართველობის უფრო ეფექტური განხორციელების პრაქტიკის შესწავლის მიზნით გავეცანი ამერიკული და გერმანული თვითმმართველობის მოდელებს, და მთავარი პრინციპი უცხოური თვითმმართველობისა არის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ სწორი ანალიზის საფუძველზე შექმნილი მუნიციპალური პოლიტიკა, კომპეტენციების მკაცრი გამიჯვნა თვითმმართველობის ორგანოებს შორის, მოქნილი ზედამხედველობის მექანიზმის შექმნა ადგილზე და მოსახლეობის სრული ჩართულობის უზრუნველყოფა თვითმმართველობის განხორციელებაში. ყოველივე ეს შესაძლებელია დაიხვეწოს და ჩამოყალიბდეს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად. დარწმუნებული ვარ ყოველი შემდგომი საანგარიშო წელი იქნება მეტად ნაყოფიერი. გისურვოთ წარმატებები საკრებულოს სრულ შემადგენლობას მერიას და ჩვენს მოსახლეობას.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ჯუმბერ დიმიტრაძე.

ხულო 11.12. 2018 წელი